საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 413 2018 წლის 2 ნოემბერი ქ. თბილისი

ი. მაჭავარიანისათვის „2010 წლის 18 თებერვლის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)“ №2 ცვლილების შეთანხმების“ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ივანე მაჭავარიანს მიენიჭოს „2010 წლის 18 თებერვლის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)“ №2 ცვლილების შეთანხმების“ ხელმოწერის უფლებამოსილება.

მამუკა ბახტაძე